პატრიარქმა კირილემ მიმართა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს, ქრისტიან ლიდერებს, სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების მეთაურებს კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს ესტონეთის მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის აკრძალვას

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 11.04.2025. 2025 წლის 10 აპრილს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო **განცხადება** ესტონეთის პარლამენტის მიერ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც მიმართულია ამ ქვეყნის მრავალი მორწმუნე მოქალაქის დისკრიმინაციისკენ, ართმევს რა მათ რელიგიის თავისუფლებას; ასევე **სთხოვა** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს გაუგზავნოს შესაბამისი მიმართვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს, უცხოდმადიდებელი ეკლესიებისა და ქრისტიანთაშორისი ორგანიზაციების მეთაურებს,

საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერებსა და წარმომადგენლებს.

უწმინდეს პატრიარქ კირილეს მიერ 11 აპრილს გაგზავნილ მიმართვებში, კერძოდ, ნათქვამია:

„ღრმა შეშფოთებით გაცნობებთ, რომ 2025 წლის 9 აპრილს ესტონეთის პარლამენტმა მიიღო ცვლილებები ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში, რომლის მიზანია ფაქტობრივი აკრძალვა ესტონეთის მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიისა, რომელიც თვითმმართველი ეკლესიაა მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში.

კანონი, რომელიც ართმევს მას ლეგიტიმაციას, არღვევს ესტონეთის კონსტიტუციითა და შესაბამისი საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ სინდისისა და რელიგიის თავისუფლების ძირითად პრინციპს“.

მისმა უწმინდესობამ მიმართა დიდი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარეს პატრიარქ იოანე X-ს, წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარეს პატრიარქ თეოფილე III-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, სერბეთის უწმინდეს პატრიარქ პორფირეს, რუმინეთის უნეტარეს პატრიარქ დანიელს, ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქ დანიელს, ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოს იოანეს, ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარეს მიტროპოლიტ საბას, ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის უნეტარეს მიტროპოლიტ როსტისლავს, სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარეს მიტროპოლიტ ტიხონს, ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარეს მთავარეპისკოპოს სტეფანეს – ძმური თხოვნით, აღავლინონ მხურვალე ლოცვები შევიწროებული ესტონეთის მართლამდიდებელი ქრისტიანული ეკლესიისთვის. მისმა უწმინდესობამ აღნიშნა: „თქვენი ძმური მხარდაჭერის იმედი მაქვს ესტონეთის მართლმადიდებლობის ამ ამ მძიმე ჟამს“.

ადრესატებს შორის ასევე არიან უცხოდმადიდებელი ეკლესიების მეთაურები და ქრისტიანთაშორისი ორგანიზაციების ლიდერები, მათ შორის: კოპტის უწმინდესი პატრიარქი ტავადროს II; რომის პაპი, უწმინდესი ფრანცისკე; ყოველთა სომეხთა პატრიარქი და კათოლიკოსი, უწმინდესი გარეგინ II; კილიკიის დიდის სახლის კათოლიკოსი, უწმიდნესი არამ I; აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი მარ ამბა III; მარონიტი პატრიარქი,, უნეტარესი ბეშარ ბუტროსი, არ-რაის კარდინალი; აღმოსავლეთის კათოლიკოსი, მალანკარის მიტროპოლიტი, უწმინდესი მარ თომა მათე III; ეთიოპიის პატრიარქი, უწმინდესი აბუნა მათე; ერითრეის პატრიარქი, უწმინდესი აბუნა ბასილი; ინგლისის პრიმატი, იორკის მთავარეპისკოპოსი სტივენ კოტრელი; ბილი გრემის ევანგელისტური ასოციაციის პრეზიდენტი, ბ-ნი ფრანკლინ გრემი; ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, პასტორი პროფესორი ჯერი პილეი.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მოუწოდა ქრისტიანული სამყაროს ლიდერებს, ვისაც შეუძლია, გახსნას პირი სიმართლით განსასჯელად (იგავ. 31:9), გამოვიდეს ესტონეთის მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მხარდასაჭერად მისთვის ამ მძიმე ჟამს.

მისმა უწმინდესობამ ასევე მიმართა ისეთი უცხოური სახელმწიფოს ლიდერებს, როგორებიცაა სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრ ვუჩიჩი, უნგრეთის პრემიერ მინისტრი ვიქტორ ორბანი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, და აღნიშნა, რომ მან იცის მათი ძალისხმევა ქრისტიანული ღირებულებებისა და ქრისტიანების უფლებების დასაცავად.

გარდა ამისა, წერილები გაეგზავნათ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა სტრუქტურების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს, კერძოდ: გაეროს გენერალურ მდივანს, ანტონიო გუტერიშს; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, ფოლკერ თიურქს; ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ფერიდუნ ჰადი სინირლიოღლუს; ევროსაბჭოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დირექტორს, ქ-ნ მარია თელალიანს; ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ალენ ბერსეს; ევროსაბჭოს უმაღლეს კომისარს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში, ქრისტოფერ კემპს; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალურ მომხსენებელს რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის თანამედროვე ფორმებთან დაკავშირებით, ქ-ნ კ.პ. აშვინს; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალურ მომხსენებელს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებში, ქნ ნაზილა განეას.

მიმართვაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადრესატების ყურადღება მიაპყრო ასევე **რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 10 აპრილის განცხადებას,** რომელშიც დაგმობილია ესტონეთში მიღებული საკანონმდებლო აქტი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93083/